



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის

2020 წლის წლიური ანგარიში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N114/ნ ბრძანებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი დაფუძნდა ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის უფლებამონაცვლედ. რომელიც, თავის მხრივ, 55 წლიანი ტრადიციების მქონე საშუალო სპეციალური სასწავლებლის-გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის უფლებამონაცვლედ დაფუძნდა 2011 წელს და ახორციელებდა მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. 2019 წლიდან კოლეჯში დაინერგა მოდულური პროგრამები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - პიანისტ-აკომპანიატორი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -მუსიკის რეპეტიტორი. 2020 წლის მაისში განხორციელდა ცვლილებები აღნიშნულ პროგრამებში დღეს მოქმედი ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება „სამუსიკო ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტის კვალიფიკაციას პიანისტ-აკომპანიატორისა და მუსიკის რეპეტიტორის კონცენტრაციების საფუძველზე. 2021 წლის დეკემბერში დასრულდება სწავლება V საფეხურის ბოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე(მიღევადი საგნობრივი პროგრამა ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერალი), ასე, რომ ამჟამად კოლეჯი ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ სამუსიკო მიმართულების ორ პროგრამას:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პიანისტ-აკომპანიატორი.

კვალიფიკაცია-„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში“

-Higher Vocational Qualification in Music Art

პროგრამის ხანგრძლივობაა 28 თვე

პროგრამის მოცულობა-144 კრედიტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის რეპეტიტორი“

კვალიფიკაცია „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში“

-Higher Vocational Qualification in Music Art

პროგრამის ხანგრძლივობა 20 თვე

მოცულობა-108 კრედიტი

2020 წლის მთავარი და მოულოდნელი გამოწვევა კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემია გახდა. მაგრამ, მიუხედავად პანდემიის გამო შეზღუდული სამუშაო სივრცისა და სასწავლო პროცესის წყვეტილობის პირობებში, კოლეჯის ადმინისტრაციასა და მთელ პერსონალს

მუშაობა მოუწია რამდენიმე უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 31 მარტის ბრძანების საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ჩარჩო-დოკუმენტში შეტანილ ცვლილებებს, 2020 წლის მაისში კოლეჯში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროგრამაში შემავალი მოდულების მოდიფიცირება.

შემუშავებული და დამტკიცებული იქნა კოლეჯის განვითარების 2020-2026 წლების სტრატეგიულ გეგმა, ამ პროცესში გადაიხედა კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, მისიით განისაზღვრა კოლეჯის საქმიანობის მონოპროფილური(სამუსიკო) მიმართულება, მისი როლი საერთოდ პროფესიული, და კერძოდ, სამუსიკო განათლების სისტემაში, კოლეჯი არის ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც ახორციელებს პროფესიულ სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს. მისიიდან გამომდინარე, განსაზღვრულია კოლეჯის ხედვა, სამომავლო პერსპექტივები, მისიის ეტაპობრივად რეალიზაციის გზები. ღირებულებები მოიცავს კოლეჯის საქმიანობის ძირითადი პრინციპების ერთობლიობას. ესენია: გუნდური მუშაობა, გახსნილობა, სამართლიანობა და ადამიანის უფლებათა დაცვა. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სტრატეგიული გეგმაზე მუშაობის ძირითადი ორიენტირი და მისიასა და სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს შორის შემაკავშირებელი რგოლი.

სტრატეგიული გეგმა შეიქმნა კოლეჯის თანამშრომელთა აქტიური ჩართულობით. კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში დასახული მიზნები სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. გეგმაზე მუშაობისას მოხდა არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა SWOT ანალიზის მატრიცის საფუძველზე. გეგმაში განსაზღვრულია მისიის შესაბამისი სტრატეგიული მიზნები, ამ მიზნის მიღწევის ინდიკატორები, ამოცანები, განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები.

2020 წელს სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის მიერ განხორციელებული აქტივობები კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რიგი აქტივობები დროულად ვერ შესრულდა პანდემიით გამოწვეული ვითარების გამო, ნაწილი კი დაემატა გარდაუვალი საჭიროებების წარმოქმნის მიზეზით.

2020 წელს სამწლიანი პაუზის შემდეგ, კოლეჯმა შეიმუშავა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ივლისის ბოლოს წარადგინა თვითშეფასების ანგარიში, ხოლო ამავე წლის ოქტომბერში სათანადო მტკიცებულებები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის შეფასების მიზნით.

სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 31 მარტის ბრძანების საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ჩარჩო-დოკუმენტში შეტანილ ცვლილებებს, კოლეჯში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროგრამაში შემავალი მოდულების მოდიფიცირება. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა სამუსიკო განათლების ფორმალიზება, შეფერხებულია სამუსიკო მიმართულების ახალი სტანდარტების და პროფესიების შექმნა და დანერგვა... საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, ახლადშექმნილი დარგობრივი საბჭო მუშაობს სამუსიკო განათლების რეფორმაზე, მისი ფორმალური განათლების სტანდარტებში მოქცევასა და საფეხურებისა და კვალიფიკაციების დადგენაზე. იმედს გამოვთქვამთ, რომ მიღებული გადაწყვეტილებები სასიკეთოდ წაადგება პროფესიულ სამუსიკო განათლებას და გზას გაგვიხსნის ახალი პროგრამების შექმნისა და დანერგვისაკენ.

2020 წლის გაერთიანებულ მიღებაზე კოლეჯში ჩაირიცხა 13 სტუდენტი: 7-პიანისტ-აკომპანიატორის, ხოლო 6-მუსიკის რეპეტიტორის პროფესიულ პროგრამაზე.

როგორც ცნობილია, 2017 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში წარმატებით ხორციელდება პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა, რომელშიც საჯარო სკოლების მე-8-12 კლასის მოსწავლეები არიან ჩართულნი. სამუსიკო კოლეჯის პროფესიული პროგრამების სტრუქტურა, წინაპირობები, სამუსიკო განათლების სპეციფიკა და ხანგრძლივობა არ გვაძლევს შესაძლებლობას ჩავერთოთ აღნიშნულ პროგრამაში, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს. ამიტომ სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობის, სამუსიკო სკოლებისა და პროფესიული კოლეჯის თანამშრომლობის ხელშეწყობისა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციის შემდეგი გზა გვაქვს მოძებნილი:

ჯერ კიდევ საზოგადოებრივ კოლეჯად რეორგანიზაციამდე, 2009 წელს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, კოლეჯში დავიწყეთ პროფესიულ პროგრამებთან ერთად სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. ეს პროგრამები სრულ შესაბამისობაშია სამინისტროს მიერ 2009 წელსვე დაფუძნებული სამუსიკო თერთმეტწლედიების პროგრამებთან და სასწავლო გეგმასთან. კოლეჯის მასწავლებლები რეგიონის სამუსიკო სკოლებში ატარებენ მასტერკლასებს, სტუდენტთა და მოსწავლეთა კონცერტებს, ემეზენ ნიჭიერ ბავშვებს. მოზარდები შიდა ქართლის ყველა რაიონიდან წარმატებით ეუფლებიან ჩვენთან სამუსიკო განათლებას, რაც ერთგვარად ავსებს იმ წყვეტილობას, რომელიც ამჟამად არსებობს სამუსიკო სკოლების დაწყებით საფეხურსა და პროფესიულ ან საბაკალავრო სამუსიკო პროგრამებს შორის და რაც ასე უარყოფითად აისახება კონტინგენტზე. ეს პროგრამები კოლეჯის სტუდენტებისათვის სასწავლო პრაქტიკის ერთ-ერთი ობიექტი და კოლეჯის კონტინგენტის შევსების წყაროცაა (კურსდამთავრებულთაგან მარტო გასულ და მიმდინარე წელს 4 ჩაირიცხა ჩვენს კოლეჯში, სამი- თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში).

სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების ხედვისა და შეფასების შესწავლის შედეგია. ის შემუშავდა კოლეჯის 2020-2026 წლების სტრატეგიული გეგმის მიხედვით და წარმოადგენს კოლეჯის სამუშაო პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს, რომელიც ხელს უწყობს კოლეჯის პედაგოგიური კოლექტივისა და ადმინისტრაციის გაერთიანებას საერთო ღირებულებებისა და პრინციპების გარშემო, ისევე როგორც მათ შეთანხმებულ მუშაობას კოლეჯის მისიის განსახორციელებლად. სამოქმედო გეგმა ერთობლივი მუშაობის შედეგია. იგი მიმოიხილავს დაწესებულების ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს 2020-2026 წლებში. კოლეჯის ერთწლიანი გეგმა ეყრდნობოდა კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, აგრეთვე მათი განხორციელების გზებს

სტრატეგიული გეგმის, კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების თანახმად, 2026 წლისათვის სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი, არის სამუსიკო მიმართულების წამყვანი პროფესიული სასწავლო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია მაღალი ნდობა და აღიარება და რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული კადრებით უზრუნველყოფს სამუსიკო სფეროში არსებული საკადრო მოთხოვნებს.

კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესების პრიორიტეტებად სტრატეგიული გეგმით დაისახა:

მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება
სწავლების მიწოდების ხარისხის ზრდა:
სამუსიკო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა
სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა,
ტექნიკური აღჭურვილობის განახლება,
ონლაინ და დისტანციური სწავლების პროცესის დახვეწა, მოდულების ნაწილის
მოდულიზაცია და მათი განხორციელება; განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან
კოლეჯის მუდმივი კონტაქტები საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფისა და ხარისხის
ამაღლების მიზნით;

მოგეხსენებათ, რომ 2020 წელს კოვიდ-19 პანდემიის გამო სასწავლო პროცესი კოლეჯში,
როგორც ყველგან, დადგა დიდი გამოწვევის წინაშე. რამაც გარკვეულწილად იმოქმედა
განსახორციელებელი აქტივობების ხარისხზე. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების ძირითადი ნაწილი შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტს. სწორედ პრაქტიკული
მოდულების სწავლების საკითხი დადგა სირთულის წინაშე, რადგან დისტანციური
სწავლების რეჟიმში მათი განხორციელების შედეგი მოკლებულია სასურველ ხარისხს,
ზოგჯერ კი საერთოდ მიუღებელია. მიუხედავად იმისა, რომ წლის განმავლობაში არაერთხელ
შეწყდა სასწავლო პროცესი, სტუდენტებმა და მასწავლებლებმა შეიძლება ითქვას, რომ კარგად
გაართვეს თავი ბევრი მათგანისათვის სწავლა/სწავლების ახალ მეთოდს. ამ სირთულეების
გადასალახავად დაიგეგმა არაერთი ღონისძიება; შესწავლილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა
ინტერნეტსა და სმარტ-მოწყობილობებზე წვდომის ხარისხი, მოდულების ნაწილის სწავლება
და პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირება ხორციელდებოდა როგორც პირისპირ, ასევე
დისტანციურ რეჟიმშიც. პარალელურად, მუდმივად ხორციელდებოდა სასწავლო პროცესის
ონლაინ, დისტანციურ ან კომბინირებულ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის
შესწავლა მოდულების თავისებურებების გათვალისწინებით.

საჭიროებისდა მიხედვით რამდენჯერმე განხორციელდა სასწავლო გეგმის, მოდულების
ადაპტირება, გამოიყო სასწავლო აუდიტორია პროფესიული სტუდენტებისათვის, ვისაც არა
აქვთ წვდომა ინტერნეტსა და სმარტ-მოწყობილობებზე;

სისტემატურად ხდებოდა პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირება და სასწავლო
პროცესის შესაბამის რეჟიმში წარმართვა

პროფესიული მასწავლებლების განვითარებისთვის ხელშესაწყობად მოხდა ტრენინგების
და გადამზადების პროგრამების უზრუნველყოფა, რაც ხელს უწყობს პროფესიული
განათლების მასწავლებლების თვითგანვითარებას და დადებითად აისახება
საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე. განსაკუთრებით საყურადღებოა მასწავლებელთა
ჩართვა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულ ტრენინგებსა და დარგობრივ ჯგუფებში.
მიზანი-შეფასების ინსტრუმენტების სრულყოფისთვის მზადყოფნა;

პროფესიულ მასწავლებელთა მზადყოფნა ონლაინ რეჟიმში მუშაობისათვის;

2020 წლის 03 მარტიდან პანდემიის გამო სასწავლო პროცესი პროფესიულ კოლეჯებში
მთლიანად შეწყდა, რადგან ყველას წარმოუდგენლად ეჩვენებოდა ონლაინ რეჟიმში
მეცადინეობის დაწყება, განსაკუთრებით შეუძლებელი იყო საწარმოო პრაქტიკის
განხორციელება. დროთა განმავლობაში, განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრისა და
სამინისტროს დახმარებით, სათანადო რეგულაციების დაწესების შემდეგ 2020 წლის 6
ივლისიდან სწავლა განახლდა კოლეჯებში, სექტემბრიდან კი კვლავ შეწყდა და უკვე ნელ-
ნელა ჰიბრიდულ ფორმაზე გადავიდა მოდულების უმრავლესობა, დღეისათვის კი
საქართველოს 8 დიდ ქალაქში, მათ შორის ჩვენთანაც, მთლიანად დისტანციური ფორმით

მიმდინარეობს სწავლება, ხოლო ის მოდულები, რომელთა დისტანციური ფორმით სწავლება შეუძლებელია, დროებით შეჩერებულია. მოხდა და სისტემატურადაც მიმდინარეობს მოდულების, სასწავლო გეგმების ადაპტირება და დისტანციურ სწავლებაზე მორგება. ცენტრთან ერთად მზადდება ცვლილებები საგანმანათლებლო სტანდარტებსა და პროგრამებში ცვლილებების განსახორციელებლად.

ხარისხის ეროვნული ცენტრისა და მასწავლებლის მომზადების ცენტრის მიერ ჩატარდა ონლაინ-ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა. ასევე კოლეჯის კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის, სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ურთიერთთანამშრომლობით დაიგეგმა და განხორციელდა შიდა ტრენინგები ელექტრონული სასწავლო პლატფორმების (Microsoft Teams, ZOOM) გამოყენების ინსტრუქციების შესასწავლად. ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვა სტუდენტებს შორის თუ რა მდგომარეობა აქვთ ინტერნეტ წვდომასა და კომპიუტერული ტექნიკის ქონებასთან დაკავშირებით. გამოკითხვამ ცხადყო თუ როგორი აქტიურობით ტარდება სწავლა/სწავლების პროცესი დისტანციურად. გამოკითხვის შედეგები გადაიგზავნა „პროფესიული საგანმანათლებლო მართვის სისტემაში“ (www.vet.emis.ge) მათივე მოთხოვნით. საბედნიეროდ, კოლეჯის მოდულური პროგრამების ყველა სტუდენტს აქვს წვდომა ინტერნეტ-რესურსებთან.

ონლაინ რეჟიმში სწავლებამ აუცილებელი გახადა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების კორექტირება. დისტანციური სწავლების მაქსიმალური დრო დაეთმო თეორიული მოდულების სწავლებას, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებამ გადაიწია შეზღუდვების სავარაუდო მოხსნამდე. ამ ცვლილებების დროს რამოდენიმე მოდულს სასწავლო გეგმაში ადგილი შეეცვალა, ზოგიერთი მოდულის განხორციელება პროფესიული მასწავლებლების მიერ მოხდა ჰიბრიდული სახით, რაც გულისხმობს მოდულის თეორიული ნაწილის და შედეგების ონლაინ რეჟიმში გავლას, ხოლო პრაქტიკული შედეგების შეფასება მოხდა შეზღუდვების მოხსნის შემდეგ კოლეჯში. ცვლილებები შეეხო ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმას. მათ შორის მიღევად რეჟიმში მყოფ ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერლის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

უნდა აღინიშნოს, რომ პროცენტულად დაგეგმილი ღონისძიებების უმეტესი ნაწილი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში:

დადგენილ რეჟიმში ტარდებოდა კოლეჯის მასწავლებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა კოლეჯის მიერ შედგენილი და განახლებული კითხვარების საშუალებით, რომელიც გულისხმობს კოლეჯში მიმდინარე ყველა პროცესზე საკუთარი აზრის დაფიქსირებას. კითხვარების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ხორციელდება ეტაპობრივად. დაცული იქნა მოდულზე დაშვების წინაპირობები და სტუდენტებისათვის დადგენილი კვირეული დატვირთვა (30სთ – 40სთ).

სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ კითხვარების მეშვეობით სისტემატურად ხდებოდა და ხდება შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა პანდემიის სიტუაციიდან გამომდინარე, დასაქმება ალბათ ცოტა შორი პერსპექტივაა.

ონლაინ რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით შიდა ტრენინგები ჩატარდა კოლეჯში სხვადასხვა პოზიციებზე მყოფ პერსონალისათვისაც.

კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე და ფეისბუქზე ხდება მიმდინარე სიახლეებისა და ინფორმაციის სისტემატური განთავსება და განახლება, თუმცა, სიმძლავრის გაზრდამდე რამდენჯერმე დავირუსდა გვერდი და ახლა ახალ პლატფორმაზე მისი გადაწყობა ხდება.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს კოლეჯის სტუდენტებთან აქვს მჭიდრო კონტაქტი, იცავს მათ უფლებებს, რომელიც გაწერილია კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში, უშუალო მონაწილეობას იღებს მათთვის სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადაჭრაში.

სამწუხაროდ, არის საკითხები, რომლის შესრულებაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა, მაგრამ ვიმეოვნებთ, შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, სისრულეში მოვიყვანთ:

ვერ შედგა და შეზღუდვების მოხსნამდე გადაიდო ტრადიციული აკადემიური და საანგარიშო კონცერტები კოლეჯის სტუდენტთა და მოსწავლეთა მონაწილეობით.

სამწუხაროდ, ონლაინ ლექციების დასაწყისში ხშირი იყო ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც ხანდახან სრულყოფილად ვერ ხერხდებოდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი-ონლაინ ლექციების შემოწმება-დასწრება, თუმცა, ადმინისტრაციის წარმომადგენლები გაერთიანებული არიან ამ ჯგუფებში და ყოველთვის შეუძლიათ თუნდაც დასწრების გაკონტროლება. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ყოველთვის უშუალო კონსულტაციას უწევდა პროფესიულ მასწავლებლებს შეფასების ინსტრუმენტების შექმნასა და შემუშავებაში (საწყის ეტაპზე), ამჟამად ყველა პროფესიული მასწავლებელი სრულიად დამოუკიდებლად ადგენს შეფასების ინსტრუმენტებს და ხდება მათი მხოლოდ შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, რაც ეყრდნობა კოლეჯში გამოცემულ და დატკიცებულ შესაბამის წესს.

2020 წელს პანდემიის პირობებში განხორციელდა კოლეჯისათვის რამოდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა – ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში:

სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 31 მარტის ბრძანების საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ჩარჩო-დოკუმენტში შეტანილ ცვლილებებს, განხორციელდა მორიგი ცვლილება პროფესიულ სტანდარტებში და მათ საფუძველზე შეიქმნა ახალი, გაერთიანებული სტანდარტი „სამუსიკო ხელოვნება“, ორი კონცენტრაციით: პიანისტ-აკომპანიატორი და მუსიკის რეპეტიტორი, შესაბამისად, მოხდა კოლეჯის ორივე პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება-შეიცვალა კვალიფიკაცია-უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო განათლებაში და სწავლების დონედ განისაზღვრა მეხუთე დონე. კოლეჯში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროგრამაში შემავალი მოდულების მოდიფიცირება. ამ საქმიანობაში ჩართული იყო პროგრამების ხელმძღვანელები და მოდულის განმახორციელებელი ყველა მასწავლებელი. მათ საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავეს აღნიშნულ საკითხზე ონლაინ რეჟიმში და დროულად წარმოადგინეს მოდულები. ასევე ცვლილებები იქნა შეტანილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ იქნა შეფასებული დადებითად და დასკვნა წარედგინა კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე გამოიცა კოლეჯის დირექტორის ბრძანება #1/25 20.05.2020წ, რომლითაც დამტკიცდა ცვლილებების პაკეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „პიანისტ-აკომპანიატორი“ და „მუსიკის რეპეტიტორი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტში „სამუსიკო ხელოვნება“ გაერთიანებული კონცენტრაციების შესაბამისად, კვალიფიკაციის კოდი 0215. ამავე ბრძანებით 2019 წლის „მუსიკის რეპეტიტორის“ მეხუთე საფეხურის საშემოდგომო მიღების ყველა პროფესიული სტუდენტი მათი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, სწავლას აგრძელებენ შეცვლილი

პროგრამით და დასრულებისას მიენიჭებათ უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020 წლის საშემოდგომო მიღებისათვის მზადება დაიწყო მაისის თვეში. მომზადდა ვებინარები, პირდაპირ „Facebook Live“ ჩართვა; განცხადება განთავსდა კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში და საგანმანათლებლო პორტალზე; მოეწყო ღია კარის დღე, რომელზეც აპლიკანტებს მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პრაქტიკის მენეჯერისა და პროგრამების ხელმძღვანელების მიერ სასწავლო პროცესისა და დასაქმების პერსპექტივებზე.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის ინიციატივით აპლიკანტებს კოლეჯის დარბაზში ჩაუტარდათ კონსულტაცია შემოქმედებითი ტურების ჩატარების თაობაზე.

შემოქმედებითი ტურები კოლეჯში პანდემიის პრევენციის რეკომენდაციების სრული დაცვით ჩატარდა; მომზადდა ორი აუდიტორია მეორე სართულზე, სადაც აპლიკანტის ადგილი დადგენილი დისტანციის გათვალისწინებით მოინიშნა სტიკერებით, განთავსდა სადეზინფექციო საშუალებები. მისაღებ გამოცდებზე დაცული იყო პანდემიის პირობებში უსაფრთხოების ყველა მოთხოვნა.

შემოქმედებითი ტურების შედეგად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „პიანისტ-აკომპანიატორი“ ჩაირიცხა 7, ხოლო „მუსიკის რეპეტიტორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 6 აპლიკანტი და მიენიჭათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

გასულ წელს, სამი წლის შესვენების შემდეგ, პროფესიული კოლეჯების მიერ მოხდა თვითშეფასების ანგარიშების წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. თვითშეფასებები შედგა 2020 წელს დამტკიცებული პროფესიული განათლების ახალი სტანდარტების შესაბამისად. ეს იყო საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტი, რომელიც დაწვრილებით ასახავდა ხუთივე სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან კოლეჯის შესაბამისობისთვის გაწეულ საქმიანობას.. სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით კოლეჯის პერსონალის მიერ შესრულდა საკმაოდ მოცულობითი სამუშაო, შედგა ახალი შვიდწლიანი, 2020-2026 წლების სტრატეგიული გეგმა, ახალი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ახალი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად განხორციელდა ცვლილებები კოლეჯის იურიდიულ დოკუმენტებსა და შიდა რეგულაციებში.

2020 წლის თვითშეფასების დოკუმენტს წინა წლებთან შედარებით აქვს განსხვავებული ფორმა. იგი კოლეჯის ირგვლივ გაცილებით მეტი და დაწვრილებითი ინფორმაციის ასახვას ითხოვს. მონაცემების შევსებაში ჩართული იყი კოლეჯის თითქმის ყველა სამსახურეობრივ პოზიციაზე მყოფი თანამშრომელი. მათ სათითაოდ წარმოადგინეს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების ანგარიში, რომელიც გარკვეული კორექტირების შემდეგ განთავსდა თვითშეფასების შესაბამის პუნქტში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ხარისხის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლების სისტემატიური კონსულტაციები, თანადგომა და დახმარების გაწევა თვითშეფასების ახალი ფორმის საკმაოდ შრომატევად პროცესში.

2020 წლის თვითშეფასების ანგარიში დანართებთან ერთად ხარისხის ეროვნული ცენტრში წარდგენილი იქნა დადგენილი ვადის ფარგლებში.

კოლეჯში სათანადო ყურადღება ეთმობა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ დარგში მიმდინარე ტენდენციების, ტექნოლოგიების და პრაქტიკის შესახებ

ინფორმაციის მუდმივ განახლებას, რაც მოიცავს პროფესიული სიახლეების გაცნობას, დარგის სპეციალისტებთან კომუნიკაციას და დარგის განვითარების ტენდენციების შესწავლას. ამ მიზნით კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიასთან. წლების განმავლობაში ჩატარდა არაერთი ტრენინგი ჩვენი პედაგოგებისათვის. კონსერვატორიის პროფესორები: შალვა მოსიძე, რუსუდან წურჭუმია, ავთანდილ რევიშვილი წლების განმავლობაში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ ჩვენთან. კონსერვატორიის პროფესორებისა და ჩვენი მასწავლებლების ერთობლივი მუშაობის შედეგია ის პროფესიული პროგრამებიც, რომლებიც დღეს კოლეჯში ხორციელდება. მიმდინარეობდა მუშაობა უმაღლეს, პროფესიულ და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამუსიკო დისციპლინების სწავლების მოდერნიზებაზე, რაც განსაკუთრებით საინტერესო იყო კოლეჯში მოდულური პროგრამების განხორციელების ასპექტში, რადგან პროგრამის შექმნისას ხდებოდა სამუსიკო დისციპლინების ინტეგრირებული სწავლების ევროპული გამოცდილების გაზიარება.

2020 წლის 6 იანვარს გორის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ნაძვის ხის ზეიმი და საშობაო კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღო სამუსიკო კოლეჯთან არსებულმა გოგონათა გუნდმა- ხელმძღვანელი ნინო წიკლაური.

28 იანვარს სამუსიკო კოლეჯის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ამერიკაში მოღვაწე ქართველი პიანისტის, პედაგოგის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, ორგანიზაცია "გზა მომავალ თაობას" დამფუძნებლის და პრეზიდენტის მერაბ ებრალიძის მასტერკლასი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა და კოლეჯის სტუდენტთათვის.

2020 წლის 14 თებერვალს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით, პირველად საქართველოში, გაიმართა „წლის საუკეთესო დირექტორის“ დაჯილდოების ცერემონია, რომელსაც მუსიკალურად აფორმებდა სამუსიკო კოლეჯის გოგონათა გუნდი.

2020 წლის შემოდგომაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა პროექტი: „მუსიკალურ-თეორიული დისციპლინების ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგია-გამოწვევები და პერსპექტივები.“ პროექტის ფარგლებში, კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებელთა და ბიბლიოთეკის გამგის მონაწილეობით, გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამონაწილეობით ჩატარდა ორი ონლაინ-ტრენინგი. ტრენინგების ერთი ციკლის მიზანი იყო სასწავლო დაწესებულების (კოლეჯისა და რეგიონის სამუსიკო სკოლების) ბიბლიოთეკების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა დისტანციურ, და ზოგადად, საგანმანათლებლო პროცესში. სამიზნე აუდიტორია სამუსიკო კოლეჯისა და სამუსიკო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალი და ბიბლიოთეკის თანამშრომლები. ტრენინგების მეორე ციკლი კი მიემდგვნა სამუსიკო სკოლაში სოლფეჯიოსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საგანი „მუსიკის“ სწავლების მეთოდებს და ელექტრონული სწავლების კომპონენტის დანერგვას.

კოლეჯის არსებული ვებგვერდის სივრცე აღარ იძლეოდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის დომენით ...@gorimuscollege.edu.ge გამოყოფილი ელექტრონული ფოსტით სარგებლობის შესაძლებლობას.(ასეთი ფოსტით სარგებლობდა ადმინისტრაცია და კანცელარია). უჭირდა მუშაობა ვებგვერდსაც. 2020 წლის ბოლოს არსებული ინტერნეტის ქსელი შეიცვალა სილქნეტის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტით. ხოლო მომავალი (2021 წლის) იანვრიდან გაფორმდა ხელშეკრულება 960 ლარზე ახალი დომენით სარგებლობისათვის. პირველი იანვრიდან კოლეჯის ვებგვერდი უკვე მუშაობს

ახალი, 50 გიგაბაიტი სიმძლავრით, რათა შესაძლებელი იყოს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის დომენით გამოყოფილი ელექტრონული ფოსტით სარგებლობა(თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები ბევრად უფრო აქტიურად და ოპერატიულად ფეისბუკით და მესენჯერში შექმნილი ჯგუფებით ურთიერთობენ.

საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობის თანახმად კოლეჯში გატარდა რიგი ღონისძიებები სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შედგა სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დამონტაჟების ხარჯთაღრიცხვა, გამოცხადდა ტენდერი, 2020 წლის დეკემბერში გამარჯვებულმა კომპანიამ შეასრულა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები: დაამონტაჟა სახანძრო უსაფრთხოების სიგნალიზაცია, გასასვლელებისა და საევაკუაციო მანიშნებლები, გორის ქალთა კამერული გუნდის(რომელსაც ასევე უზუფრუქტით გადაცემული აქვს შენობის ნაწილი), სახსრებით დამონტაჟდა ვიდეო კამერები შენობაში და მის მთელ პერიმეტრზე.

ახალი კორონავირუსული ინფექციის პრევენციის მიზნით, კოლეჯის ექთანი აწარმოებს სამედიცინო და სანიტარულ - ჰიგიენურ ჟურნალებს. სამედიცინო ჟურნალში აღრიცხულია თანამშრომელთა და სტუდენტთა ტემპერატურისა და რესპირატორული სიმპტომების ყოველდღიური აღრიცხვა, აგრეთვე, იწარმოება დეზინფექციის ჩატარების ჟურნალი, სადაც აღნიშულია დეზინფექციის ჩატარების თარიღი, დრო, სიხშირე და საშუალებები.

კორონავირუსული ინფექციის თავიდან აცილების მიზნით, სპეციალური სადეზინფექციო სითხით, 3 საათიანი ინტერვალით, მუშავდება: კაბინეტები, კლასები, დარბაზი, ინვენტარი და საპირფარეოები. 2 მეტრიანი დისტანციით მოინიშნა: დერეფნები, კაბინეტები და კლასები სპეციალური სტიკერებით. თვალსაჩინო ადგილზე განთავსდა პლაკატები. საპირფარეოსა და კლასებში დაიდგა ხელის სადეზინფექციო სითხეები. განთავსდა დეზობარიერები. მოეწყო საიზოლაციო ოთახი. კოლეჯი მომარაგდა ყველა საჭირო სამედიცინო ინვენტარით, ჰიგიენური და სადეზინფექციო ხსნარებით. მკაცრად კონტროლდება დაწესებული რეგულაციები.

დასკვნა: ყველანაირი წესისა და რეგულაციების გათვალისწინებით, ვთვლი, რომ ახალ გამოწვევას კორონავირუსის თავიდან აცილების მიზნით კოლეჯი სათანადოდ გაუმკლავდა.

2020 წლის მარტიდან ახალი კორონავირუსის პრევენციით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის მოხდა ბიუჯეტიდან არაპროგნოზირებადი ხარჯების გაწევა, რამაც გამოიწვია მისი კორექტირება და ხარჯების გადახედვა. შემენილ იქნა სადეზინფექციო და პირადი დაცვის საშუალებები, ჩატარდა ინსტრუქტაჟები კოლეჯის პერსონალისა და სტუდენტებისათვის, სისტემატურად ტარდება თერმოსკრინინგი, დეზობარიერები და სადეზინფექციო საშუალებები განთავსებულია შემოსასვლელებში, ყველგან დაცულია უსაფრთხო დისტანცია, გამოკრულია სპეციალური საინფორმაციო სტიკერები.

2020 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით დადებულია იქნა 29 ხელშეკრულება, შესრულებულია 26 ხელშეკრულება, 3 ხელშეკრულება (სს საქართველოს ეროვნული არქივი, შპს პროსერვ ჯი, შპს სილქნეტი) გაფორმებულია 2021 წლის მომსახურებებისათვის.

„სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი“-ს შესყიდვის მიზნით გამოცხადებული იყო ტენდერი სამჯერ, აქედან ერთი ტენდერი არ შედგა, ერთი დასრულდა უარყოფითი შედეგით (პრეტენდენტს მიეცა დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო) მესამე ჯერზე ტენდერი შედგა და გამარჯვებულად გამოვლინდა „შპს ელ+“, რომელმაც სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ვადაში შეასრულა აღნიშნული სამუშაოები.

სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟის შესყიდვა გათვალისწინებული იყო პირველ კვარტალში, მაგრამ ახალი კორონა ვირუსის (covid 19) გავრცელებასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟის შესყიდვის მიზნით გამოყოფილი თანხები გადატანილი იქნა მესამე კვარტალში. რის შემდეგაც დავიწყეთ მზადება აღნიშნული მომსახურების ტენდერისათვის

სახელმწიფო შეყიდვების გაგმაში გათვალისწინებული თანხა გაიზარდა ორჯერ 08 დეკემბერს 2250 ლარით (კომუნალური ხარჯებიდან ეკონომიის ხარჯზე) და 18 დეკემბერს 2850 ლარით (ხელფასის ფონდიდან)

ბიუჯეტის შესრულების ახსნა – განმარტება

პროგრამული კოდი 32.03.01.30

2020 წელს ქ. გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯმა საზინის მეშვეობით 12 თვეში მიიღო ბიუჯეტიდან – 176713.02 ლარი და ა/ა - 10000 ლარი სულ 186713.02 ლარი.

1.შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა – ბიუჯეტიდან შტატის თანამშრომელები - 92509 ლარი

2.საქონელი და მოსახურება

შტატგარეშე ხელფასი – 57523,10 ლარი

მივლინება – 322 ლარი.

ტელეფონი – 561 ლარი, ინტერნეტი – 1430 ლარი

ელექტროენერგიის ხარჯი – 1643.64 ლარი,

წყლის ხარჯი – 508.25 ლარი,

ბუნებრივი აირის ხარჯი – 9745 ლარი

საკანცელარიო – 624.50

გაზეთები – 15 ლარი

ჰოსტინგის მომსახურება – 60 ლარი

დომენი -12 ლარი

ცეცხლმაქრის ფხენილი – 192 ლარი

სამეურნეო საქონელი და ჰიგიენური საშუალებები - 6289 ლარი 07თ.

კარტრიჯები - 325

დეზინფექცია -150 ლარი

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

არქივის მომსახურება - 384 ლარი

სახელშეკრულებო ხელფასი - 1812 ლარი

აუდიტორიული მომსახურება - 1700 ლარი

ბუღალტრული მომსახურება - 600 ლარი

ტრენინგი - 135 ლარი

ტენდერის გამოცხადება -125 ლარი

სხვა ხარჯი – 48 ლარი.(მოსაკრებელი)

არაფინანსური/აქტივები:

სახანზრო სიგნალიზაციის მონტაჟი - 10000ლარი

საკუთარი სახსრები

ნაშთი წლის დასაწყისისათვის არის 8429 ლარი.(რომელიც არის გაყინული)

ნაშთი 1480 ლარი (ამის ხარჯვა შესაძლებელია)

განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩარიცხულია სასწავლო ვაუჩერი :

2020 წელს 12 თვეში მიღებულია საკუთარი სახსრებში 1.ვაუჩერული დაფინანსება – 77958 ლარი.
0,66 თ.

გახარჯულია :

შრომის ანაზღაურება – 44117 ლარი და 76 თ. ლარი

ნაშთი წლის ბოლოს საკუთარ სახსრებში 2021წ.01.01 სთვის - 35320 ლარი და 0,90 თ.

კოლეჯის დირექტორი

ნადეჟდა მანჯავიძე

25 იანვარი, 2021 წელი